დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის განვითარება საქართველოში

თორნიკე ბასილაძე

ჯგუფი N 1

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში

პროექტის ხელმძღვანელი:

ლიკა ძაგნიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

სარჩევი

განაცხადი ---------- 3

აბსტრაქტი ---------- 4

შესავალი ---------- 5

სამეცნიერო ლიტერატურული მიმოხილვა მიმოხილვა

1.1საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის განვითარების ისტორია---------- 6

თავი 1.2 სადაზღვევო ზედამხედველობის არსი ---------- 7

1.3გატარებული რეფორმები და მათი შედეგები---------- 9

1.4 სამართლებრივი აქტები ---------- 12

1.5 სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის გაცემა---------- 22

1.6საქართველოს სადაზღვევო ბაზარი---------- ---------- 23

1.7 ზედამხედველობის მოდელები ---------- 38

თავი2. სადაზღვევო ზედამხედველობის მოდელები საზღვარგარეთის ქვეყნებში---------- 39

2.1 ინსტიტუციონალური საზედამხედველო მოდელები ---------- 39

2.2 ფუნქციონალური და შერეული მოდელები ---------- 41

2.3 ინტეგრირებული და საზედამხედველო მოდელები ---------- 43

დასკვნა ---------- 49

ბიბლიოგრაფია ---------- 50

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თორნიკე ბასილაძე

აბსტრაქტი

დაზღვევის ზედამხედველობის საერთაშორისო ორგანიზაცია (AIAS) შეიქმნა 1994 წელს და მისი მიზანია დაამყაროს დაზღვევის საერთაშორისო სტანდარტები ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში.დაზღვევის ზედამხედველობის საერთაშორისო გაერთიანება არის ნებაყოფლობითი წევრობის ორგანიზაცია,რომელშიც გაერთიანებულია 140 ქვეყანა,მათ შორის საქართველოც.

საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური არის დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, რომელიც ხელს უწყობს სადაზღვევო ბაზრის სამართლიან და ეფექტურ ფუნქციონირებას.სამაგისტრო ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და დაზღვევის ზედამხედველობის როლი.